დანართი №1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში სტაჟირების გავლის წესი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (შემდგომში – უსკო) აპარატში სტაჟირების გავლის წესი (შემდგომში – წესი) აწესრიგებს უსკოს აპარატში სტაჟირების გავლასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

მუხლი 2

უსკო, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარებისა და საჯარო სამსახურში ადაპტირების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების, საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის, საარჩევნო კანონმდებლობისა და სისტემის გაცნობის მიზნით, უზრუნველყოფს სტაჟიორთა მიღებას.

მუხლი 3

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტაჟირება – უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტაჟიორის საქმიანობა, რომლის მიზანია პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და კვალიფიკაციის ამაღლება საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოსამზადებლად;

ბ) სტაჟიორი – პირი, რომელიც უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საქმიანობას ახორციელებს კვალიფიკაციის ამაღლების, აგრეთვე პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების მიღების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.

გ) სტაჟიორობის კანდიდატი – პირი, რომელსაც სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით, წარდგენილი აქვს განაცხადი უსკოს აპარატში სტაჟირების გავლის შესახებ ან სტაჟირების გავლასთან დაკავშირებით უსკოში წარმოდგენილი აქვს ამ წესით დადგენილი დოკუმენტები;

დ) სტაჟიორის მენტორი – პირი, რომელიც უშუალო კოორდინაციასა და ზედამხედველობას უწევს სტაჟიორს მისთვის დაკისრებული საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 4

1. პირის მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში სტაჟირების გავლის ვადაა არანაკლებ 1 და არაუმეტეს 12 თვისა, რაც მას ხელს არ უშლის, შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ გახდეს სხვა საჯარო დაწესებულების სტაჟიორი.

2. სტაჟიორს უფლება აქვს, უმაღლეს საარჩევნო კომისიაში სტაჟირება რამდენჯერმე გაიაროს, თუმცა სტაჟირების გავლის საერთო ვადა 12 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

მუხლი 5

1. სტაჟიორს სტაჟირების პერიოდში ენიშნება მენტორი, რომელიც მას უწევს ზედამხედველობას, სამუშაო აღწერილობის ფარგლებში.

2. სტაჟირებას კოორდინაციას უწევს უსკოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

თავი II
სტაჟიორად მიღება

მუხლი 6

1. სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იცის სახელმწიფო ენა;

ბ) სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მეორე ან მესამე საფეხურზე ან პროფესიული განათლების საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან/და დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების ერთ-ერთი საფეხური.

2. პირი სტაჟიორად არ მიიღება, თუ:

ა) იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის;

ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;

გ) მან სტაჟიორად მიღებისას არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;

დ) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3. სტაჟიორთა რაოდენობას, განსაზღვრავს უსკოს თამჯდომარე.

მუხლი 7

1. უსკო უფლებამოსილია, სტაჟიორის მისაღებად გამოაცხადოს კონკურსი, ამ წესის შესაბამისად.

2. სტაჟიორის მიღება შესაძლებელია კონკურსის გავლის გარეშეც, უსკოს თამჯდომარის ბრძანებით, სტაჟირების მსურველი პირის უსკოში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე.

თავი III
სტაჟირების კომისია

მუხლი 8

1. სტაჟიორობის კანდიდატების შერჩევის მიზნით იქმნება სტაჟირების საკონკურსო კომისია (შემდგომში – კომისია).

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის წევრები. კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს უსკოს თამჯდომარე.

3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4. კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

5. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის წევრები.

7. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს კომისიის სხდომის ოქმს, რის შესახებაც კომისიის სხდომის ოქმში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

8. ჩატარებული კონკურსის შედეგების მიხედვით, კომისია შეარჩევს და უსკოს თამჯდომარეს წარუდგენს სტაჟიორობის კანდიდატებს.

9. კომისია ვალდებულია, სტაჟიორობის წარდგენის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

თავი IV
სტაჟიორთა კონკურსი

მუხლი 9

სტაჟიორის მიღება წარმოებს კონკურსის წესით, გარდა ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 10

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება აცხადებს სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსს. კონკურსი ცხადდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის საშუალებით.

მუხლი 11

1. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს:

ა) მონაცემებს კონკურსის თემატიკის, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის ჩატარების ეტაპების შესახებ;

ბ) ინფორმაციას მისაღებ სტაჟიორთა რაოდენობის შესახებ;

გ) ინფორმაციას სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველი პირის მიერ განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის, ასევე რეგისტრაციის ვადებთან დაკავშირებით.

2. კომისიის გადაწყვეტილებით, დასაშვებია კონკურსის ჩატარების შესახებ სხვა სახის ინფორმაციის გამოქვეყნებაც.

მუხლი 12

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, სტაჟირების გავლის მსურველმა პირმა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, ელექტრონულად უნდა გააკეთოს განაცხადი სტაჟირების გავლის თაობაზე.

მუხლი 13

1. კონკურსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

ა) განაცხადების გადარჩევა;

ბ) ტესტირება;

გ) გასაუბრება.

2. კონკურსის ეტაპებთან დაკავშირებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს კომისია, რაც აისახება შესაბამის ოქმში.

მუხლი 14

1. სტაჟიორთა მიღების პროცედურების განხორციელებასა და სტაჟირების გავლას საერთო კოორდინაციას უწევს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

2. სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველ პირთა მიერ დოკუმენტაციის წარდგენა და რეგისტრაცია წარმოებს კონკურსის გამოცხადებიდან არანაკლებ 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება კურირებს კონკურსის საორგანიზაციო საკითხებს, მათ შორის, უზრუნველყოფს სტაჟიორობის კანდიდატთა განაცხადების გადარჩევას (წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმებას), ორგანიზებას უწევს ტესტირებისა (თუ კონკურსი მოიცავს ტესტირების ეტაპს) და გასაუბრების ჩატარებას და ადგენს კომისიის სხდომათა ოქმებს.

4. ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, კომისია უსკოს თამჯდომარეს წარუდგენს იმ კანდიდატთა მონაცემებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს კონკურსი.

5. კომისიის მიერ წარდგენილი სტაჟიორობის კანდიდატებიდან საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატებს, ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, სტაჟიორებად ნიშნავს უსკოს თამჯდომარე. სტაჟიორობის კანდიდატის სტაჟიორად დანიშვნის შესახებ ბრძანებაში მიეთითება სტრუქტურული ერთეული, სადაც დაინიშნება სტაჟიორი, სტაჟირების ვადა და სტაჟიორის მენტორი.

6. სტაჟიორობის კანდიდატი, რომელიც, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, წარდგენილია სტაჟიორად დასანიშნად, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას წარუდგენს ამ წესის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

მუხლი 15

1. კონკურსის პირველი ეტაპი უნდა ჩატარდეს რეგისტრაციის ვადის ამოწურვიდან არაუადრეს 10 სამუშაო დღისა, ხოლო ყოველი მომდევნო ეტაპი – წინა ეტაპის დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

2. ტესტირების ეტაპზე არ დაიშვება კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს განაცხადების გადარჩევის ეტაპს.

3. გასაუბრების ეტაპზე არ დაიშვება კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს განაცხადების გადარჩევის/ტესტირების (თუ კონკურსი მოიცავს ტესტირებას) ეტაპს.

4. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს სტაჟიორობის კანდიდატისათვის კონკურსის თითოეული ეტაპის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ჩატარებამდე 3 სამუშაო დღით ადრე მაინც.

5. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, აცნობებს სტაჟიორობის კანდიდატს კომისიის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღეში.

მუხლი 16

1. კომისიის წევრები გასაუბრების შემდეგ ავსებენ სტაჟიორობის კანდიდატის შეფასების ფორმას, რომელსაც ადგენს საკონკურსო კომისია.

2. სტაჟიორთა კონკურსში მონაწილე ყველა სტაჟიორობის კანდიდატი ინდივიდუალურად ფასდება.

3. სტაჟიორთა კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არცერთი განაცხადი ან მის შედეგად შერჩეული კანდიდატები უარს იტყვიან

სტაჟიორად დანიშვნაზე ან კომისიის მიერ სტაჟიორად დასანიშნად წარდგენილი არ იქნა არცერთი კანდიდატურა.

4. უსკო ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილია, შეწყვიტოს გამოცხადებული კონკურსი ნებისმიერ ეტაპზე, კანდიდატისათვის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების გაცნობამდე.

5. უსკო კონკურსის შეწყვეტის შესახებ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ატყობინებს სტაჟიორობის კანდიდატებსა და ბიუროს.

თავი V
სტაჟიორად დასანიშნად წარსადგენი დოკუმენტები

მუხლი 17

უსკოს აპარატში სტაჟიორად დასანიშნად სტაჟიორობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შევსებული სტაჟირების სააპლიკაციო ფორმა (დანართი №2);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) დიპლომის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან აქტიური სტუდენტის სტატუსის ან აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

დ) ცნობა შრომითი საქმიანობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) 2 ფოტოსურათი 3/4-ზე.

თავი VI
უსკოს, სტაჟიორისა და სტაჟიორის მენტორის მოვალეობები

მუხლი 18

უსკო სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად/განსავითარებლად.

მუხლი 19

სტაჟიორის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება:

საქართველოს კანონმდებლობით უსკოს შინაგანაწესით ამ დებულებითა და სტაჟიორთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 20

სტაჟირორის მენტორი:

ა) აცნობს სტაჟიორს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის სტრუქტურას, საქმიანობის სფეროს, სპეციფიკასა და საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას;

ბ) უშუალოდ წარმართავს და კოორდინაციას უწევს სტაჟიორის საქმიანობას, აკონტროლებს მის მიერ ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს სტაჟიორს უფლება-მოვალეობების განხორციელების პროცესში;

დ) სტაჟიორს აძლევს შესასრულებელი სამუშაოს მიმართულებას და განუსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ვადას, აწვდის საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

თავი VII
სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტა

მუხლი 21

1. სტაჟიორთან დადებული ხელშეკრულება წყდება:

ა) სტაჟიორის პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლისას;

გ) საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით;

დ) სტაჟირების პერიოდში, არასაპატიო მიზეზით, ზედიზედ 5 დღის განმავლობაში შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გამოუცხადებლობა;

ე) დავალების არაერთგზის ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, რაც დასტურდება სტაჟირების მენტორის მიერ დასაბუთებული დასკვნით;

ვ) სტაჟიორის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ზ) " საჯარო სამსახურის შესახებ " საქართველოს კანონის კანონის 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა"–„ე" და „თ"–„კ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას.

2. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უსკოს თავმჯდომარე.

თავი VIII
დავის გადაწყვეტა

მუხლი 22

დავები, რომლებიც წარმოიშობა სტაჟირებასთან დაკავშირებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი IX
სტაჟირებისა გავლის დადასტურება

მუხლი 23

1. სტაჟიორის მენტორი სტაჟირებისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ წერილობით აცნობებს უსკოს თამჯდომრეს სტაჟირების დასრულების თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაიცემა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი ცნობა.

დანართი N2

სტაჟირების სააპლიკაციო ფორმა

ფოტო

პერსონალური მონაცემები

გვარი, სახელი,		
დაბადების თარიღი: (რიცხვი, თვე, წელი)		
დაბადების ადგილი:		
სქესი:	☐ მამრობითი	☐ მდედრობითი
რეგისტრაციის მისამართი:		
ფაქტობრივი მისამართი:		
საკონტაქტო ნომრები:	მობილური:	
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი: დოკუმენტის სერია და №	☐ პირადობის მოწმობა ☐ ID ბარათი	
პირადი ნომერი:		

განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

უმაღლესი სასწავლებლის დასახელება (ქვეყანა, ქალაქი, მუნიციპალიტეტი)	
ფაკულტეტი	
სპეციალობა	
სწავლის პერიოდი: (რიცხვი, თვე, წელი)	**საიდან:**_____ **სადამდე:** _____
მიღებული ხარისხი:	☐ ბაკალავრი ☐ მაგისტრი ☐ დოქტორი

უცხო ენები

(ცოდნის დონე შეაფასეთ შესაბამისი ქულით: 1- დაწყებითი, 2 – საშუალო, 3 – კარგი, 4 – ძალიან კარგი)

უცხო ენა	**წერა**	**კითხვა**	**საუბარი**	**მოსმენა**

კომპიუტერული პროგრამები
(მონიშნეთ ცოდნის შესაბამისი დონე)

პროგრამის დასახელება	დაწყებითი	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი

მე, _____ _____ ხელმოწერით ვადასტურებ, რომ გავეცანი უსკოს შინაგანაწესს, აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ უსკოს განკარგულებას. ამასთანავე, განმემარტა, რომ ჩემს ბიოგრაფიაში სტაჟირების გავლისთვის მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებული ინფორმაციის, დაფარვის ან/და ცრუ ინფორმაციის მითითების შემთხვევაში და ჩემი სტაჟიორად დანიშვნის შემდეგ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება გამოიწვევს სტაჟირების დაუყოვნებლივ შეწყვეტას.
ვალდებულებას ვიღებ, ანკეტაში მითითებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში უმოკლეს ვადებში ვაცნობო უსკოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას, რათა შესაბამისი ცვლილება შეტანილ იქნეს ჩემს პირად საქმეში.

შევსების თარიღი

/ --- / --- / 20 -- / წელი

პირადი ხელმოწერა